ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2932491

ნომერი: AR1453504

თარიღი : 02.11.2016

გაცემის თარიღი : 07.11.2016

გაცნობის თარიღი : 07.11.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ფერდობი ნუცუბიძე , მიკრო/რაიონი III , (ნაკვეთი N25/63) ; ქალაქი თბილისი , ფერდობი ნუცუბიძე , მიკრო/რაიონი III , (ნაკვეთი N25/62) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შალვა გელაშვილი პ/ნ 01024058743
- თბილისი მ.კოსტავას ქ. N 63 ბ. 95

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ნუცუბიძის ფერდობზე, III მიკრო რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: NN01.14.02.025.063; 01.14.02.025.062) განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმებას, გაცნობებთ: იმისათვის, რომ არქიტექტურის სამსახურს მიეცეს შესაძლებლობა საკითხი განსახილველად გადააგზავნოს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს“ სხდომაზე, საჭიროა საპროექტო დოკუმენტაცია წარმოადგინოთ სამსახურის მიერ დადგენილი მინიმალური მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც შეგიძლიათ იხილოთ როგორც განცხადებაზე თანდართული ფაილის სახით, ასევე არქიტექტურის სამსახურის ვებ გვერდზე, კერძოდ: http://tas.ge/?p=content&type=3&news=70350

შესწორებული კორექტირებული პროექტი უნდა აიტვირთოს http://tas.ge/–ზე ამავე განაცხადის დახარვეზებულ ან, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით ველში.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად, თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 30 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად. იმ შემთხვევაში, თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი, შესწორებული დოკუმენტაცია, სამსახური გამოიტანს გადაწყვეტილებას განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ახალი განაცხადის წარმოდგენამდე, ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენის შემდგომ.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.